ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4915267

ნომერი: AR1740384

თარიღი : 19.03.2020

გაცემის თარიღი : 27.03.2020

გაცნობის თარიღი : 27.03.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებელის ხეივანი, N 195;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილი ცომაია პ/ნ 01025015668
- აწყურის ქ. კორპ. 3A ბინა 1

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საოფისე, საგამოფენო,სავაჭრო, სასაწყობე
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ვასილ ცომაია
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "ჰელიქსი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404855992

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019

წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:
წარმოდგენილი არქიტექტურული ესკიზი მოცულობითი თვალსაზრისით არ არის მისაღები. წარმოადგინეთ განახლებული, მიმდებარე განაშენიანების შესაბამისი სართულიანობის და მოცულობის ესკიზური ვარიანტი, ასევე უნდა გაუმჯობესდეს წარმოდგენილი ვიზუალი მოპირკეთების ნაწილში.
აქვე გაცნობებთ:
1. მიწის ნაკვეთზე შესვლა ხდება #01.72.14.011.318 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული თვითმმართველის საკუთრებაში არსებული ნაკვეთიდან. წარმოადგინეთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობა გზის მოწყობის თაობაზე.
2. ,,1-7“ და ,,ბ-ა“ ღერძებში განთავსებული ფანჯრის ღიობებით ირღვევა მიჯნის ზონა #01.72.14.011.318 და #01.72.14.011.413 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ნაკვეთებთან მიმართებაში, ასევე დაურეგისტრირებელ ნაკვეთთან მიმართებაში, ჩრდილოეთის მხრიდან.
3. გეგმებზე მიუთითეთ საპროექტო შენობიდან საკადასტრო საზღვრამდე მანძილები.
ავტოსადგომები განათავსეთ მხოლოდ საკუთარ საკადასტრო საზღვარში.
4. ფანჯრის ღიობებზე დაიტანეთ სიმაღლის ნიშნულები.
5. ვინაიდან ლიფტის შახტა სამზე მეტ სართულს აკავშირებს, თითოეულ სართულთან ლიფტის შემოზღუდული უნდა მოეწყოს ფოიე, ან მოეწყოს დაწნევის სისტემა.
6. ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთის მომიჯნავე ტერიტორიაზე მდებარეობს სს ,,თელასი“-ს სატრანსფორმატორო ქვესადგური ს/კ 01.72.14.011.413, წარმოადგინეთ სს ,,თელასი“-ს პოზიცია საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.